სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

28 ივნისი 2024

N 332/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ფოთში, შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (N2 ნავმისადგომის რეკონსტრუქცია და N3 ნავმისადგომის გამაგრება) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. ფოთში, შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (N2 ნავმისადგომის რეკონსტრუქცია და N3 ნავმისადგომის გამაგრება) სკოპინგის დასკვნა N36;
2. შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N36 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფოთის ახალ საზღვაო ნავსადგურის“ მიერ, ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/332-21-4-202406281257

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE